# სულ რაღაც 4 წამი...

დონეცკი. “შახტიორის” სტადიონი. 18 აპრილი.

“შახტიორი” (დონეცკი) _ “დინამო” (თბილისი) _ 1:1 (0:0).

“შახტიორი”: დეგტიარიოვი, პოლაკი, პოპოვი, დროზდენკო, პიანიხი, გრიგორიევი, პოლიპჩუკი, ბოლდიუკი, ჟუკოვი (დუდინსკი), ევსეენკო, კოზინკევიჩი (იარემჩენკო).

“დინამო”: კოტრიკაძე, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, ხინჩიკაშვილი, პეტრიაშვილი, კუტივაძე, ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

მსაჯი: ვ. ლიპატოვი (მოსკოვი).

დუბლიორები _ 5:0 “შახტიორის” სასარგებლოდ. ბურთები გაიტანეს ორლოვმა (2), ზახაროვმა (2), გრუბჩაკმა.

თბილისის “დინამოს” ტრადიციულად არ გამოსდის თამაში დონეცკში. ასე იყო უწინ, ასეა ახლაც. ვინ იცის, რამდენჯერ წაუფორხილებიათ თბილისელებს დონეცკში, როცა საუკეთესო სატურნირო მდგომარეობა ჰქონდათ. განვლილ შეხვედრაში საქმეს ისიც ართულებდა, რომ მეშახტეთა ქალაქში 18 აპრილს გადაუღებლად წვიმდა და ატალახებული მინდორი უპირველესად დინამოელებს უშლიდა ხელს, რომლებიც მასპინძლებზე უფრო ტექნიკურად და სწრაფად თამაშობენ.

ინიციატივა თავიდანვე დინამოელებმა აიღეს ხელთ. ბურთის გატანის შესაძლებლობა მიეცათ გ. და ლ. ნოდიებს. შორიდან რამდენიმეჯერ დაარტყეს კუტივაძემ და პეტრიაშვილმა, მაგრამ ბურთი მიზანს სცდებოდა. “შახტიორი” უმთავრესად კონტრიერიშებზე აგებდა თამაშს, სადაც განსაკუთრებით გამოირჩეოდა პოლიპჩუკი.

მაღალ ტემპში მიმდინარეობდა მეორე ტაიმიც. 52-ე წუთზე ასათიანმა კარგი კომბინაცია გაითამაშა ლ. ნოდიასთან, ამ უკანასკნელმა ცენტრში მიაწოდა თავის ძმას და ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა თავური დარტყმით ანგარიში გახსნა _ 1:0.

ამ წარმატებას კიდევ რამდენიმე სახიფათო მომენტი მოჰყვა, მაგრამ დონეცკელებმა შეძლეს მათი მოგერიება და შემდეგ ინიციატივამაც მათ მხარეს გადაინაცვლა. აქ თავი გამოიჩინა დინამოელთა მეკარემ ს. კოტრიკაძემ. იგი სულ ახლახან საზეიმოდ გაცილეს, მაგრამ ვინაიდან ურუშაძე ერთ-ერთ ვარჯიშზე საკმაოდ სერიოზულად დაშავდა, მისი შემცვლელი არ აღმოჩნდა და მწვრთნელებმა მეკარის საპასუხისმგებლო პოსტი ისევ კოტრიკაძეს მიანდეს და, უნდა ითქვას, რომ ვეტერანმა იმედი გაამართლა.

მატჩის დასასრულს უახლოვდებოდა და მასპინძლები სულ უფრო აძლიერებდნენ იერიშებს. 82-ე წუთზე ხინჩიკაშვილი თავის საჯარიმო მოედანზე შეცდა, რის შედეგადაც კართან ახლოს უმეთვალყურეოდ დარჩა პილიპჩუკი. მან ზუსტად გამოიყენა მომენტი _ 1:1.

ორიოდე წუთის შემდეგ დეგტიარიოვმა მოიგერია ძნელი ბურთი, კიდევ ცოტა ხანი და კუტივაძემ დაკარგა გოლის გატანის საუკეთესო შანსი.

დინამოელთა ერთ-ერთი იერიშისას ლ. ნოდიამ მეტოქეს ბურთი წაართვა და კარში გაგზავნა. ვ. ლიპატოვმა არ ჩათვალა გოლი და როცა თბილისელებმა მას საამისო განმარტება მოსთხოვეს, მსაჯმა მათ აჩვენა თავისი წამმზომი, რომელზეც 90 წუთს 4 წამი იყო გადაცილებული...

**ნ. ჩხატარაშვილი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.**
**(ჩვენი სპეც. კორ.).**
**“ლელო”, 21 აპრილი, 1970 წ.**